

შპს „არბო 2009“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	19
5. ძირითადი საშუალებები.....	21
6. მარაგები	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	22
9. კაპიტალი	23
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
11. მიღებული სესხები.....	23
12. საგადასახადო ვალდებულებები.....	24
13. შემოსავალი	24
14. რეალიზაციის თვითღირებულება	24
15. მარკეტინგის და მიწოდების ხარჯი	24
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
17. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	25
18. არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).....	25
19. მოგების გადასახადი.....	25
20. პირობითი ვალდებულებები.....	26
21. ფინანსური რისკების მართვა	26
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	30
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „არბო 2009“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „არბო 2009“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან არსებითად შეუსაბამო, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ჯგუფის სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

6 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

6 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო



Closer to you

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	21,174,665	25,376,154
რეალიზაციის თვითღირებულება	14	(14,105,473)	(16,840,524)
საერთო მოგება		7,069,192	8,535,630
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	15	(1,955,183)	(1,710,287)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,772,722)	(1,797,369)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	17	(1,312,142)	(1,824,389)
საოპერაციო მოგება		2,029,145	3,203,585
არასაოპერაციო ხარჯი	18	(52,655)	(121,891)
არასაოპერაციო შემოსავალი	18	332,442	106,832
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(267,414)	(116,501)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	8; 11	(51,829)	80,250
მოგება დაბეგვრამდე		1,989,689	3,152,275
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(142,389)	(163,722)
წლის მოგება		1,847,300	2,988,553
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,847,300	2,988,553

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-31 გვერდებზე, შპს „არბო 2009“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2021 წლის 6 აგვისტოს, ჯგუფის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

დავით ჭრელაშვილი

დირექტორი

6 აგვისტო, 2021

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	21,174,665	25,376,154
რეალიზაციის თვითღირებულება	14	(14,105,473)	(16,840,524)
საერთო მოგება		7,069,192	8,535,630
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	15	(1,955,183)	(1,710,287)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,772,722)	(1,797,369)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	17	(1,312,142)	(1,824,389)
საოპერაციო მოგება		2,029,145	3,203,585
არასაოპერაციო ხარჯი	18	(52,655)	(121,891)
არასაოპერაციო შემოსავალი	18	332,442	106,832
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(267,414)	(116,501)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	8; 11	(51,829)	80,250
მოგება დაბეგვრამდე		1,989,689	3,152,275
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(142,389)	(163,722)
წლის მოგება		1,847,300	2,988,553
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,847,300	2,988,553

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-31 გვერდებზე, შპს „არბო 2009“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2021 წლის 6 აგვისტოს, ჯგუფის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

დავით ჭრელაშვილი

6 აგვისტო, 2021



დირექტორი

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,078,824	7,608,501
არამატერიალური აქტივები		538	412
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები		53,634	370,170
		10,132,996	7,979,083
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,205,178	947,695
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	208,454	133,203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	1,550,423	3,333,227
		2,964,055	4,414,125
სულ აქტივები		13,097,051	12,393,208
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	100	100
გაუნაწილებელი მოგება		10,142,528	9,102,101
სულ კაპიტალი		10,142,628	9,102,201
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	1,014,479	1,411,978
		1,014,479	1,411,978
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	850,454	700,110
საგადასახადო ვალდებულებები		160,471	119,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	929,019	1,059,832
		1,939,944	1,879,029
სულ ვალდებულებები		2,954,423	3,291,007
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,097,051	12,393,208

შენიშვნები 9-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 9)	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	7,899,682	7,899,782
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,988,553	2,988,553
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,786,134)	(1,786,134)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	9,102,101	9,102,201
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,847,300	1,847,300
გამოცხადებული დივიდენდი	-	(806,873)	(806,873)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	10,142,528	10,142,628

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,989,689	3,152,274
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	904,626	650,489
ფინანსური ხარჯი	12	143,445	110,966
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	5	138,637	150,827
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან		267,414	116,500
		3,443,811	4,181,056
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ცვლილებები მარაგებში		(257,483)	(331,275)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		241,287	(254,180)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(131,877)	632,743
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		75,041	(76,777)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,370,779	4,151,567
საპროცენტო ხარჯი	12	(109,424)	(117,498)
გადახდილი მოგების გადასახადი		(176,046)	(115,572)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,085,309	3,918,497
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(3,520,776)	(2,217,323)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		7,066	42,962
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,513,710)	(2,174,361)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
სესხების მიღება	12	-	746,097
სესხების დაფარვა	12	(550,925)	(423,292)
დივიდენდების გადახდა	10	(806,873)	(1,786,134)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,357,798)	(1,463,329)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(1,786,199)	280,807
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		3,395	(4,162)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	9	3,333,227	3,056,582
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	9	1,550,423	3,333,227

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***1. შესავალი**

შპს „არბო 2009“ (შვილობილ კომპანიასთან ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც - „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2009 წლის 20 თებერვალს დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის ქ. N17. ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში; ბელიაშვილის ქ. N 145.

ჯგუფი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა შვილობილ კომპანიას შპს „მადარტ დელივერის“ (ს/კ 405405413), რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-2 შენიშვნის (დ) ნაწილში. ჯგუფის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის დავით ჭრელაშვილი.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, ვაჭრობა და ადგილზე მიტანა.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მომზადების საფუძველი***(ა) შესაბამისობის განაცხადი***

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2020 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს 9 ”კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ სტანდარტის შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია კონსოლიდირებული, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(დ) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „არბო 2009“-ის და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს შვილობილ კომპანიაში („ინვესტიციის ობიექტში“) თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს:

- უფლება აქვს ინვესტიციის ობიექტზე (ანუ არსებული უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- უფლება აქვს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან მიიღოს ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები განხორციელდა. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც ჯგუფი კონტროლს მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც სათავო კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, ასევე დივიდენდები, სრულად გაიქვითება.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი ჯგუფის სათავო კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს ეკუთვნის მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება. შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე, წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კონტროლს კარგავს შვილობილ კომპანიაზე, ის:

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**(დ) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)**

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;

ახდენს სათავო კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფი ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სფერო	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ჯგუფში შემოსვლის თარიღი
შპს მადარტ დელივერი	მიტანის სერვისი	100%	საქართველო	შვილობილი	30 ივლისი 2020

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს. ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“) რაც ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)**

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2020	2019
1 USD/GEL	3.1097	2.8192

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	5-30
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	2-7
მცირეფასიანი ინვენტარი	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- ▶ ჯგუფის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- ▶ სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ▶ ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- ▶ აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)*****ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)***

(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელია რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხორციელდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმიური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ იდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით. მარაგის თვითღირებულებაში სხვა დანახარჯები ჩაირთვება მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან. მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება ისეთი სახის დანახარჯები რომლებიც გაწეული იყო:

- ▶ ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანაკარგები;
- ▶ მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომლის გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
- ▶ ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის მარაგის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მის ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან;
- ▶ გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)*****ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება***

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****გადახდილი ავანსები (გაგრძელება)**

გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან

მოდIFIკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი ჯგუფის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება ჯგუფის საკუთარ კაპიტალში ჯგუფის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ნაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (გაგრძელება)**

ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავალის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქციის მიტანის სერვისს და ახდენს შემოსავლის გენერირებას აღნიშნული მომსახურების გაწევით. შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- ჯგუფი როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. ჯგუფი ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემილებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრვლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი ინვენტარი	და სატრანსპორტო საშუალებები	მცირე ფასიანი ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილ- მოწყობა	სულ
თვითღირებულება										
2019 წლის 1 იანვარი	2,893,296	14,170	-	1,826,666	277,314	399,397	783,713	135,111	1,063,476	7,393,143
შემოსვლები	-	139,404		832,475	160,274	144,103	591,536	121,745	227,786	2,217,323
გასვლები	-	-	-	(29,279)	(42,783)	(41,707)	(159,536)	-	-	(273,305)
ჩამოწერები	-	-	-	(1,152)	(8,338)	(2,647)	-	(34,186)	(1,356)	(47,679)
31 დეკემბერი 2019	2,893,296	153,574	-	2,628,710	386,467	499,146	1,215,713	222,670	1,289,906	9,289,482
შემოსვლები	-	500	3,644	1,061,796	89,943	236,144	260,668	102,373	1,765,408	3,520,476
გასვლები	-	-	-	(1,059)	(10,470)	(880)	(4,000)	(474)	-	(16,883)
ჩამოწერები	-	(138,507)	-	(3,390)	(1,783)	(18,095)	-	(46,811)	(3,983)	(212,569)
31 დეკემბერი 2020	2,893,296	15,567	3,644	3,686,057	464,157	716,315	1,472,381	277,758	3,051,331	12,580,506
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება										
2019 წლის 1 იანვარი	-	-	-	392,875	104,189	100,828	172,130	49,815	338,186	1,158,024
წლის ცვეთის ხარჯი	-	-	-	184,312	52,459	58,568	136,091	51,866	166,854	650,150
გასვლები	-	-	-	(371)	-	-	(79,143)	-	-	(79,514)
ჩამოწერები	-	-	-	(1,152)	(8,338)	(2,647)	-	(34,186)	(1,356)	(47,679)
31 დეკემბერი 2019	-	-	-	575,664	148,310	156,749	229,078	67,495	503,684	1,680,981
წლის ცვეთის ხარჯი	-	-	121	260,985	68,264	76,144	185,750	90,358	222,462	904,084
გასვლები	-	-	-	(983)	(7,910)	-	(399)	(28)	-	(9,320)
ჩამოწერები	-	-	-	(3,390)	(1,783)	(18,095)	-	(46,811)	(3,983)	(74,062)
31 დეკემბერი 2020	-	-	121	832,276	206,881	214,798	414,429	111,014	722,163	2,501,683
წმინდა საბალანსო ღირებულება:										
31 დეკემბერი 2019	2,893,296	153,574	-	2,053,046	238,157	342,397	986,635	155,175	786,222	7,608,501
31 დეკემბერი 2020	2,893,296	15,567	3,523	2,853,781	257,276	501,517	1,057,952	166,744	2,329,168	10,078,824

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით (ნეტო საბალანსო ღირებულებით): მიწის ნაკვეთები 2, 893,296 ლარი.

ჯგუფი ახორციელებს საკონდიტრო საწარმოს მშენებლობას 2020 წლის განმავლობაში და მათი საბალანსო ღირებულება 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 15,569 ლარს (2019: 153,574 ლარს).

6. მარაგები

მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	830,393	660,132
შესაფუთი მასალები და სხვა მარაგი	287,809	183,695
ნახევარფაბრიკატები	72,010	60,103
მზა პროდუქცია	14,966	43,765
სულ მარაგები	1,205,178	947,695

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	36,834	12,460
გაუფასურების რეზერვი	(6,573)	(6,573)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	30,261	5,887
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	178,193	127,316
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	208,454	133,203

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დენომინირებულია ლარში.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	184,868	388,600
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები, მათ შორის:	1,325,974	2,784,742
- ლარში დენომინირებული	1,325,974	2,033,683
- აშშ დოლარში დენომინირებული	-	751,059
ფულადი საშუალებები გზაში (ლარში დენომინირებული)	39,581	159,885
სულ ფულადი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,550,423	3,333,227

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები 1,325,974 ლარის ოდენობით განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით. (2019 წლის 31 დეკემბერი: 2,784,742 ლარი)

ჯგუფს სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შესახებ წლიურ 6%-იანი განაკვეთით. ჯგუფმა აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო ფინანსური შემოსავალი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში 91,616 ლარი (2019: 191,571 ლარი).

ფული და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დენომინირებულია ლარში.

9. კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სრულად შეტანილი 100 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი.

2020 წელს მოხდა დივიდენდის გამოცხადება და გადახდა 806,873 ლარის ოდენობით (2019: 1,786,134 ლარის ოდენობით). ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	639,794	847,837
გადასახდელი ხელფასები	289,225	211,995
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	929,019	1,059,832

11. მიღებული სესხი

ჯგუფის მიღებული სესხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სს "თიბისი ბანკი"	8%	1,199,063	1,366,486
სს "თიბისი ბანკი"	5.5% (ფიქსირებული + 6 თვიანი ლიბორი)	665,870	745,602
		1,864,933	2,112,088

სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სესხების მოძრაობა:		
1 იანვრის მდგომარეობით	2,112,088	1,684,578
სესხის აღება	-	746,096
გადახდილი ძირი	(550,925)	(423,272)
გადახდილი პროცენტი	(109,424)	(117,496)
საკურსო სხვაობების ეფექტი	269,749	111,216
საპროცენტო ხარჯი	143,445	110,966
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,864,933	2,112,088

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხების მიზნობრიობა არის ძირითადი საშუალების შეძენის ფინანსირება. აღნიშნული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით (ნეტო საბალანსო ღირებულებით): მიწის ნაკვეთები 2, 893,296 ლარი.

სესხები უცხური ვალუტის მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 21-ე შენიშვნაში.

12. საგადასახადო ვალდებულებები

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

13. შემოსავალი

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020 და 2019 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	20,650,712	25,007,924
შემოსავალი მომსახურებიდან	523,953	368,230
სულ შემოსავლები	21,174,665	25,376,154

14. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2020 და 2019 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
პირაპირი მასალები	(9,119,236)	(11,209,734)
პირდაპირი საწარმოო პერსონალის შრომა	(2,747,170)	(3,315,788)
ზედნადები ხარჯები	(2,239,067)	(2,315,002)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(14,105,473)	(16,840,524)

15. მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები

ჯგუფის მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(1,310,578)	(1,311,372)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(365,207)	(191,496)
ცვეთა	(186,836)	(125,103)
მარკეტინგული ხარჯები	(92,562)	(82,316)
სულ მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	(1,955,183)	(1,710,287)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
იჯარის ხარჯი	(494,807)	(549,189)
სამეურნეო ხარჯი	(171,462)	(244,004)
კომუნალური ხარჯი	(174,491)	(216,818)
ბანკის საკომისიო	(187,476)	(164,925)
ცვეთა და ამორტიზაცია	(322,909)	(120,912)
საგადასახადო ხარჯი	(76,878)	(68,048)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(102,445)	(71,590)

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

რემონტის ხარჯი	(18,425)	(108,079)
კომუნიკაციის ხარჯები	(68,460)	(60,326)
დაცვის ხარჯი	(37,101)	(45,356)
ტრანსპორტირების ხარჯი	(31,618)	(31,855)
დაზღვევის ხარჯი	(28,187)	(29,756)
საკანცელარიო ხარჯი	(16,608)	(26,739)
მივლინების ხარჯი	-	(4,896)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(41,855)	(54,876)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,772,722)	(1,797,369)

17. შრომის ანაზღაურების ხარჯი

ჯგუფის შრომის ანაზღაურების ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	(1,197,037)	(1,700,645)
სხვა სარგებელი	(115,105)	(123,744)
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	(1,312,142)	(1,824,389)

18. არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

ჯგუფის არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
შემოსავალი საშემოსავლო შეღავათიდან	293,562	-
შემოსავალი ა/მანქანების დაზღვევიდან	16,626	16,701
პერსონალის ჯარიმები	8,743	12,909
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	7,066	42,962
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6,445	34,260
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	332,442	106,832
პროდუქციის დანაკლისი	(25,010)	(39,525)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(7,434)	(82,266)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(20,211)	(100)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	(52,655)	(121,891)

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% *15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***19. მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2020 წელს ჯგუფმა გაანაწილა გაანაწილა დივიდენდი და შესაბამისად აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2020 წელს 142,389 ლარი (2019: 163,722 ლარი).

20. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2020 წლის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

21. ფინანსური რისკების მართვა**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. რადგან ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო რეალიზაცია 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,259	5,887
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,550,423	3,333,227
სულ მაქსიმალური გავლენა რისკის მიმართ	1,580,682	3,339,114

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,259	-	30,259
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,550,423	-	1,550,423
	1,580,682	-	1,580,682
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	1,864,933	1,864,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	929,019	-	929,019
	929,019	1,864,933	2,793,952
ღია საბალანსო პოზიცია	651,663	(1,864,933)	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,887	-	5,887
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,582,168	751,059	3,333,227
	2,588,055	751,059	3,339,114

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	-	2,112,088	2,112,088
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,059,832	-	1,059,832
	1,059,832	2,112,088	3,171,920
ღია საბალანსო პოზიცია	1,528,223	(1,361,029)	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
	+20%	-20%	+20%	-20%
სავალუტო რისკის მგრძნობელობა				
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(372,987)	(372,987)	(272,206)	272,206

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. ჯგუფი სახსრებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 8). მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფულადი საშუალებების ლიკვიდურობის პორტფელი შესაძლოა რეალიზდეს ნაღდ ფულზე ერთი დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის შესაბამისად. ვადიანობის ცხრილში მოცემული თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. აღნიშნული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეყრდნობა დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები დაკონვერტირებულია სპოტ სავალუტო კურსი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,259	-	30,259
ფული და ფულადი სახსრები	1,550,423	-	1,550,423
	1,580,682	-	1,580,682
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	850,454	1,014,479	1,864,933
საგადასახადო ვალდებულებები	160,471	-	160,471
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	929,019	-	929,019
	1,939,944	1,014,479	2,954,423
ლიკვიდურობის სხვაობა	(359,262)	(1,014,479)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(359,262)	(1,014,479)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,887	-	5,887
ფული და ფულადი სახსრები	3,333,227	-	3,333,227
	3,339,114	-	3,339,114
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	700,110	1,411,978	2,112,088
საგადასახადო ვალდებულებები	119,087	-	119,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,059,087	-	1,059,832
	1,879,029	1,411,978	3,291,007
ლიკვიდურობის სხვაობა	1,460,085	(1,411,978)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	1,460,085	(1,411,978)	

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს ჯგუფის დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**საოპერაციო გარემო**

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ბარიზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკ ქვეშ დააყენოს ჯგუფის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს -ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2020	2019
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	163,616	208,776

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- ჯგუფმა 2021 წლის განმავლობაში შეისყიდა 939,143 ლარის ძირითადი საშუალებები.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გაანაწილა 522,325 ლარის დივიდენდი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)



კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2020 წელი

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არბო 2009“ (შემდგომში – კომპანია) შექმნილია და წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს და საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს არბო 2009 არის „მადარტის“ ჯგუფში შემავალი კომპანიების მშობელი საწარმო. შპს „არბო 2009“ ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოს 100%-იანი წილით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- შპს „მადარტ დელივერი“ (ს/კ 405405413)

კომპანია და მისი აღნიშნული შვილობილი საწარმო ერთობლივად მოხსენიებულია მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც „ჯგუფი“.

კომპანია დაარსდა 2009 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნამცხვრების, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია სპეციალიზებულ მაღაზიებში.

ჯგუფის მმართველობას ახორციელებს 100% წილის მფობელი, დირექტორი - დავით ჭრელაშვილი, რომელსაც უფლება აქვს მართოს თავისი წილი, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების, სესხის აღებისა და უზრუნველყოფის თაობაზე.

ჯგუფი მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას. საქმიანობის დაწყების დღიდან, კომპანიის გაფართოების კვალდაკვალ იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც. კომპანიის შვილობილი კომპანია, „მადარტ დელივერი“, რომელიც შეიქმნა 2020 წლის ივლისში, წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. კომპანიის საკუთრებაში არსებული 70 მოპედი და 10 მსუბუქი ავტომანქანა სრული დატვირთვით ემსახურება მომხმარებელს და ახორციელებს პროდუქციის დროულად და ხარისხიანად მიწოდებას.

თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ორი დამოუკიდებელი სტრუქტურული დეპარტამენტი. 2020 წლის სექტემბრის თვიდან კომპანია „მადარტის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნა ადამიანების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს შპს „მადარტ დელივერის“ HR საქმიანობას, თუმცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და პროცედურების შემუშავება ხორციელდება შპს „არბო 2009“-ის ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურულ ერთეულთან მჭიდრო შეთანხმების შედეგად.

ჯგუფის უმნიშვნელოვანეს რესურსს თანამშრომლები წარმოადგენენ. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც ახალი ტალანტების მოძიება-შერჩევას, ისე მათ განვითარებაზე ზრუნვას, ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასა და მოტივირებას.

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ჯგუფს არ შეუწყვეტია განვითარების პროცესი. გარკვეული პერიოდის მანძილზე, რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოხდა ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანა, კიდევ უფრო აქტიურად ხდებოდა თანამშრომლებთან კომუნიკაცია და პირველ რიგში, მათთვის მორალური მხარდაჭერის აღმოჩენა.

ჯგუფში სხვადასხვა მიმართულებით დაინერგა სტაჟირების პროგრამა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდა, მონდომებული ადამიანების, მათ შორის სტუდენტების დასაქმებას. აღნიშნული პროგრამა ნაყოფიერი აღმოჩნდა კომპანიისთვისაც. სწორად გაწერილმა სტაჟირების პროცესმა, საშუალება მოგვცა, მოკლე დროში აღმოგვეჩინა ახალგაზრდა ტალანტები, რომლებიც სრულფასოვნად ინტეგრირდნენ ჯგუფის საქმიანობაში.


2021 წლისათვის დაგეგმილია და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს შიდა ტრენინგების ციკლი, რომელიც თანამშრომლებს დაეხმარება, მუდმივად ეცნობოდნენ სიახლეებს და მოსალოდნელ გამოწვევებს. მიღებული ინფორმაცია, კი მათ თვითრეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რაც უფრო მეტ დროსა და ინვესტიციას ვდებთ ჩვენი თანამშრომლების პროფესიულ სწავლებასა და განვითარებაში, მით უფრო მარტივად ვახერხებთ ამ ინვესტიციის ამოღებას მათი მხრიდან მაღალკვალიფიციურად, კომპეტენტურად და პროდუქტიულად შესრულებული სამუშაოთი. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ბიზნესში, არც თუ ისე რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად კარგ უკუგებას მოგვითმანს თანამშრომლების განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა ჯგუფში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირების მიზნით, მუდმივად ხორციელდება კორპორატიული ღონისძიება,

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)*

სადღესასწაულო დღეების მილოცვა, ქალაქგარეთ ექსკურსიები, სხვა და სხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება მშობელ და შვილობილ კომპანიებს შორის. გუნდურ და სპორტულ-გასართობ შეჯიბრებში მონაწილეობა ეხმარება თანამშრომლებს გარკვეული წინააღმდეგობების ერთობლივად დაძლევაში.

2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 627 ადამიანამდე. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა დაარსების დღიდან დღემდე.

**შრომის უსაფრთხოების საკითხები:**

ჯგუფს ჰყავს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. პერიოდულად მიმდინარეობს თანამშრომელთა ტრენინგები, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. რომელიც მოიცავს: პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო საკითხებს, ელექტრო უსაფრთხოების საკითხებს, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, მოქმედების ინსტრუქტაჟს.

ახალი თანამშრომელთათვის ხდება შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის გაცნობა, რომლის მიზანია მაქსიმალურად შეამციროს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები.

2021 წლისათვის დაგეგმილია თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის კვალიფიკაციის ამაღლება უსაფრთხოების კუთხით, რომელსაც წარუძღვება შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მოწვეული სპეციალისტი.

სურსათის უვნებლობის საკითხები

ჯგუფში სურსათის უვნებლობის მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მომხმარებელს მივაწოდოთ ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქტი, ამ მიზნით ჯგუფში ხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, პერსონალს უტარდება ტრენინგები, ჰიგიენის წესების და მათი დაცვის შესახებ, ასევე სპეციალური სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით, მუდმივად მიმდინარეობს სამუშაო სივრცის და ინვენტარის რეცხვა-დეზინფექცია შესაბამისი აღრიცხვით. სადეზინფექციო ხსნარებს, რომელიც გამოიყენება წარმოებაში, გააჩნია დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ ამ ხსნარების გამოყენება დასაშვებია კვების წარმოებაში. მიმდინარეობს ჯგუფში არსებული სატრანსპორტო საშუალებების რეცხვა-დეზინფექცია. მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, რაც დასტურდება ჯგუფში მიერ საერთაშორისო HACCP სტანდარტის დანერგვით. ეს სტანდარტი ითვალისწინებს ყველა პოტენციური საფრთხეების აღმოჩენა, აღმოფხვრას, მათ პრევენციას და მისაღებ დონემდე დაყვანისათვის საჭირო ქმედებების დაწესებას.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)*

აქტიურად მიმდინარეობს პერსონალის პირადი ჰიგიენის, ჯანმრთელობის და მავნებლის კონტროლი, შესაფუთი მასალების სანიტარული მდგომარეობა, ნარჩენების გატანა, პროდუქტის ტრანსპორტირება და ყველა ჰიგიენური ნორმების დაცვა. მუდმივად მიმდინარეობს ნედლეულის და მზა პროდუქციის ლაბორატორიული კონტროლი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ჩატარებული ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს, რომ მომხმარებელს მივაწოდოთ არა მხოლოდ საუკეთესო გემოვნური თვისებების მქონე, არამედ გარანტირებული ხარისხი და ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქტი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საცალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ საკონდიტრო წარმოების მიმართულებით ჯგუფს მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე.

ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა მომხმარებლის დონის ზრდას ქვეყანაში.

მომხმარებლები საცალო ვაჭრობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვდნენ და შედეგად გაჩნდა ახალი მაღაზიათა ქსელის გახსნის, ხარისხიანად და სწრაფად მიტანის, მომსახურების საჭიროება. სწორედ, მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, გაიხსნა ახალი სავაჭრო ქსელი ვარკეთილში. დიდი ყურადღება დაეთმო მიტანის სერვისს, მომხმარებელთან კომუნიკაციას. მათი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, პრეტენზიებისა და შენიშვნების გათვალისწინებას.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან, კერძოდ პანდემიიდან გამომდინარე, ჯგუფმა მოახერხა და მაქსიმალურად შეძლო, რომ მომხმარებელს არ შექმნოდა მიწოდებისა და მომსახურების პრობლემა.

ჯგუფი აქტიურად ჩაერთო COVID თან ბრძოლაში. კოვიდის წინააღმდეგ შექმნილ ფონდში, ინფიცირებულთა სასარგებლოდ, ჯგუფმა ჩარიცხა 15,000 ლარი.

მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობა და კონტაქტი. ამ მიმართულებით, ფეისბუქ გვერდის საშუალებით, მარკეტინგის კუთხით, აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება ახალი პროდუქციის შექმნის და სხვადასხვა სიახლეების შესახებ. ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მომხმარებელთან.

ჯგუფის მარკეტინგული გეგმის ძირითადი მიზანია, სხვა და სხვა ტიპის სარეკლამო აქტივობებით და წარმოების პროცესის გამჭვირვალობის ჩვენებით, (სოც. ქსელებში, ტელევიზიასა და რადიოში) წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების, მაღალი სტანდარტებისა და ხარისხის წარმოჩინება.

ბაზარზე, საკონდიტრო სფეროში, ლიდერის პოზიციის შენარჩუნების მიზნით, იგეგმება ახალი ტიპის პროდუქტების დანერგვა, არსებული პროდუქციის პაკეტური სახით შეთავაზება მომხმარებლისთვის და მოთხოვნიდან გამომდინარე, სტრატეგიული ლოკაციების ახალი ფილიალებით ათვისება.

ჯგუფის საკურიერო მომსახურების სერვისი, რომელიც მომხმარებლისთვის პროდუქციის სწრაფად და ხარისხიანად მიტანას უზრუნველყოფს, მუდმივად მუშაობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიერები ერთგებიან სხვა და სხვა სოციალურ და სარეკლამო კამპანიებში, რომლის საბოლოო მიზანაც, ბაზარზე ლიდერ, სოციალურად პასუხისმგებლიან კომპანიად პოზიციონირებაა.

სავაჭრო ობიექტები და შეთავაზებული პროდუქტები

შპს არბო 2009-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის ქ. #17. ჯგუფი ფლობს ოთხ სავაჭრო ობიექტს, სადაც საცალო გაყიდვასთან ერთად მიმდინარეობს წარმოების პროცესის ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნახევარფაბრიკატების მიწოდება ფილიალებში ხორციელდება ძირითადი წარმოებიდან.

წესდებით განსაზღვრული საქმიანობის საგანს წარმოადგენს ნებისმიერი სახის სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

დასახული მიზნების მისაღწევად ჯგუფი ახორციელებს საქმიანობის შემდეგ სახეებს: საკურიერო მომსახურება, საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

დღეის მდგომარეობით ჯგუფი მყარადაა წარმოდგენილი, როგორც ერთერთი ლიდერი მწარმოებელი საკონდიტო წარმოების. იგი ბაზარზე ცნობილია ბრენდით „მადარტი“.

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება, ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. რაც ნათლად ჩანს მომხმარებელთა დადებითი შეფასებით, და პროდუქციის მაღალი მოხმარებით.

სერიული ტორტები



ხილის ტორტი



ტყუპი ტორტი



შოკოლადი ალუბლით



შავი პრინცი



სპეცი კენკრა



შოკოლადის ტორტი

ნამცხვრები



ეკლერი



შუ



თეთრი ციყვი



შავი ციყვი



ტარტალეტა კენკრის



ხვეულა



ნაპოლეონი ნაჭერი



დიდი ნაპოლეონი



ყავის ეკლერი



მისქეიქი



ანუტა



მუღოკი



იდუალი



პავლოვა მარწყვით



პავლოვა ჟოლოსით

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფის მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, კომპანიის რისკების მართვისა და ბიზნესის პოლიტიკის განსაზღვრა. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც დამახასიათებელია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის.

შიდა ბაზარზე არასტაბილურია ნედლეულის ღირებულება. ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, სისტემატურად იცვლება ნედლეულის ფასი, რაც გარკვეულწილად მოქმედებს, ძირითადი საკონდიტრო პროდუქტის თვითღირებულებაზე.

ჯგუფში ნედლეულის შეძენა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, თუმცა გარკვეული რაოდენობის იმპორტირებული პროდუქტის შეძენა უცხოურ ვალუტაშიც ხდება. რაც იწვევს კურსთა შორის სხვაობას. ასევე კაპიტალური დანახარჯების კუთხით, მანქანა დანადგარების, ავეჯისა და სხვადასხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვის დიდი ნაწილი ხდება უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ცვალებადი გაცვლითი კურსის პირობებში ბიუჯეტთან მიმართებაში აცდენას აქვს ადგილი და გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოიქმნება.

ჯგუფი გრძელვადიანი ფინანსირებისათვის იყენებს საბანკო სესხებს, რომელთა გაიცემა უცხოურ ვალუტაში. სავალუტო კურსის დეველვაცია არსებით გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. იმ პირობებში, როცა შემოსავალი ადგილობრივ ვალუტაშია, ხოლო სასესხო ხარჯები, უცხოურ ვალუტაში. ქვეყანაში ლარის გაუფასურებამ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. შესაბამისად კომპანიისთვის ცვალებადი კურსი რისკფაქტორად რჩება.

ფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

სულ აქტივები

სულ კაპიტალი

სულ ვალდებულებები

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
13,097,051	12,393,208
10,142,628	9,102,201
2,954,423	3,291,007
13,097,051	12,393,208

სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება

შემოსავალი

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საერთო მოგება

მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

შრომის ანაზღაურების ხარჯი

საოპერაციო მოგება

არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლები

საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი

წმინდა ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი)

მოგება დაბეგვრამდე

მოგების გადასახადი

წმინდა მოგება

სხვა სრული შემოსავალი

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

2020	2019
21,174,665	25,376,154
(14,105,473)	(16,840,524)
7,069,192	8,535,630
(1,955,183)	(1,710,287)
(1,772,722)	(1,797,369)
(1,312,142)	(1,824,389)
2,029,145	3,203,585
(52,655)	(121,891)
332,442	106,832
(267,414)	(116,501)
(51,829)	80,250
1,989,689	3,152,275
(142,389)	(163,722)
1,847,300	2,988,553
-	-
1,847,300	2,988,553

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სამომავლო გეგმები

ჯგუფის სამომავლო გეგმების ძირითადი მიმართულებებია: ახალი ლოკაციების დამატება. კერძოდ, ახალი, მრავალფუნქციური ფილიალის გახსნა ვაკე-საბურთალოს რაიონში და საქართველოს მასშტაბით. საკუთარი წარმოების პროდუქციის განახლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, და შემდგომში მაღალი განვითარება მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.


დავით ჭრელაშვილი
დირექტორი
6 აგვისტო 2021

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სამომავლო გეგმები

ჯგუფის სამომავლო გეგმების ძირითადი მიმართულებებია: ახალი ლოკაციების დამატება. კერძოდ, ახალი, მრავალფუნქციური ფილიალის გახსნა ვაკე-საბურთალოს რაიონში და საქართველოს მასშტაბით, საკუთარი წარმოების პროდუქციის განახლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, და შემდგომში მაღალი განვითარება მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.



დავით ჭრელაშვილი
დირექტორი
6 აგვისტო 2021

